სასწავლო აქტივობები კონკურსისთვის: ,,ფინანსური განათლება სკოლაში“

თემის ფარგლებში წარმოდგენილი აქტივობები მომზადებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლებისთვის და საშუალებას იძლევა მოდიფიცირდეს/მოერგოს კონკრეტულ სასწავლო საჭიროებებს, სასწავლო გარემოს, კლასის ინტერესსა და შესაძლებლობებს.

სასწავლო თემა: ეკონომიკური ურთიერთობები თემში.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკითხები: ფული, ვალუტა, გაცვლითი კურსი, დაზოგვა, დაზღვევა, შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება (პირადი ფინანსების მართვა).

სამიზნე ცნება: ბარტერი, ვალუტა, ბიუჯეტი, შემოსავალი, ხარჯი, დანაზოგი, დაზღვევა.

საკვანძო შეკითხვები, რომლებზეც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაფიქრდეს:

რატომ არის საჭირო ფული?

როგორ გავარჩიოთ საჭიროება და სურვილი?

რატომ და როგორ უნდა დავგეგმოთ საკუთარი ბიუჯეტი?

როგორ ვხარჯოთ თანხა გონივრულად?

რატომ არის დაზოგვა მნიშვნელოვანი?

დაზღვევის შეძენა რა კავშირშია დაზოგვასთან და როგორ უწყობს ხელს დაზოგვის ჩვევის გამომუშავებას?

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

საკუთარი ფინანსური შესაძლებლობისა და კონკრეტული მიზნების შესაბამისად პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა. (მოქ.საბ.1,3,5,6,7,10);

გააანალიზოს, რა განაპირობებს ადამიანების ეკონომიკურ აქტივობას; რა ლოგიკით იღებენ ისინი ამა თუ იმ ფინანსურ გადაწყვეტილებას. (მოქ.საბ.2,3,4,5,7,8,9,10,11,12,13);

მკვიდრი წარმოდგენები:

გაცვლა - ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველია;

ჩვენი სურვილები უსასრულოა, არსებული რესურსი კი სასრული;

ფინანსური გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენი სურვილები და შესაძლებლობები;

ფინანსური კეთილდღეობის საწინდარი დაზოგვა და გონივრული ხარჯვაა და არა დიდი შემოსავლები;

გაკვეთილი N1

თემა: ფული, მისი თვისებები და ფუნქციები.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ ფულს, როგორც უნივერსალურ და ყველასათვის ღირებულ საშუალებას;

მოსწავლე შეძლებს: განსაზღვროს ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქცია;

მნიშვნელოვანი ცნება: ფული

საკვანძო კითხვა: რატომ არის საჭირო ფული?

საჭირო რესურსები: დაფა, ცარცი,პროექტორი, ლეპტოპი, ფურცელი, კალამი, ბარათები კოგნიტური სქემებისთვის (ცნების რუკა, T -სქემა, თვითშფასება მეთოდით: 3-2-1)

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 60 წთ.

მასწავლებლის ქმედება:

აქტივობა N 1. გონებრივი იერიში (5-6 წთ.)

პროვოცირების მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს მოასმენინებს „მაკარის სიმღერას“ ფილმიდან „ქეთო და კოტე“ და დაუსვამს კითხვას: რა კავშირშია მოცემული სიმღერა გაკვეთილის თემასთან?

აქტივობა N 2. კითხვა-პასუხი (5-6 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს პროექტორის გამოყენებით აჩვენებს ფულის სხვადასხვა ფორმის ნიმუშების ილუსტრაციას (იხილეთ დანართი N1) და სვამს კითხვებს:

1. რა არის ფული?
2. რისთვის გვჭირდება?
3. რატომ გახდა მისი გამოგონება აუცილებელი?
4. შემოთავაზებული ვარიანტებიდან ფულის რომელი ფორმაა გადახდის, დაგროვების ან გაცვლის უკეთესი საშუალება?
5. რომელმა მახასიათებლებმა გამოიწვია ფულის თანამედროვე ფორმების ჩამოყალიბება?

(სავარაუდო პასუხები: ფული არის ღირებულების საზომი ერთეული, ფულით შეგვიძლია შევიძინოთ საჭირო და სასურველი ნივთები. ვიმოგზაუროთ, ვიყიდოთ სახლი, მანქანა, ტექნიკა, გამოვიყენოთ სხვის დასახმარებლად... თანამედროვე ადამიანისთვის უფრო მოსახერხებელია ბარათით გადახდა, გადარიცხვა... ფულის შემდგომი ფორმების ჩამოყალიბება განაპირობა: მალფუჭებადობამ, სიმძიმემ, ვერ ხერხდებოდა კონვერტირება, დაყოფა/დაშლა, გადაზიდვა, რამდენჯერმე გამოყენება, მოითხოვდა დიდ დროით და ფიზიკურ დანახარჯებს ...)

აქტივობა N 3. ცნების რუკა (5-6 წთ.)

სამიზნე სიტყვის/ცნების სხვადასხვა კუთხით გასააზრებლად მოსწავლეები შეავსებენ მასწავლებლის მიერ წინასწარმომზადებულ ე.წ. **ცნების რუკის** ამსახველ ბარათს.

განმარტება (რა არის?) (სავარაუდო პასუხი:ფული არის ლითონის ან ქაღალდის ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ღირებულების საზომს. ფინანსური საშუალება, რომელიც საქონლის, მომსახურების ან აქტივების შესასყიდად გამოიყენება.)	**სინონიმი** (მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვა) სავარაუდო პასუხი: ვალუტა, ბანკნოტი, კაპიტალი, თანხა, მონეტა...)
მახასიათებლები (როგორია?) (სავარაუდო პასუხი: ლითონის, ქაღალდის, ელექტრონული ციფრები გამოხატული საბანკო ანგარიშზე)	**ფრაზა/წინადადება** (სავარაუდო პასუხი:,,უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის, ყმაა ფულიანისა.“(ილია ჭავაჭავაძე)

სიტყვა

ფ უ ლ ი

აქტივობა N 4 . T-სქემა (7-8 წთ.)

მასწავლებელს ფლიპჩარტის ფურცელზე წინასწარ ჩამოწერილი ექნება ფულის ფუნქციებისა და მახასიათებლების გამომხატველი წინადადებები (მაგალითად: ფული არის გაცვლის და გადახდის საშუალება; გამძლე; შეგვიძლია დავაგროვოთ, დავზოგოთ; გავცვალოთ, გადავიხადოთ; დავშალოთ, სხვას გავუყოთ; ფული არის გაყალბებისგან დაცული; ადვილად გადასატანი; სტაბილური ღირებულების და ა.შ.). მოსწავლეებს სთხოვს დააჯგუფონ **T-სქემის** გამოყენებით და ახსნან, რა პრინციპით გადაანაწილეს წინადადებები სქემაში.

(შევსებული სქემის ნიმუში)

ფულის ფუნქციები	ფულის მახასიათებლები
გაცვლის და გადახდის საშუალება; ღირებულების საზომი და აღრიცხვის ერთეული; დაგროვებისა და დაზოგვის საშუალება.	ფული არის საყოველთაოდ აღიარებული/მისაღები; გამძლე; დაშლადი/გაყოფადი; ერთგვაროვანი და სტაბილური ღირებულების; გაყალბებისგან დაცული; ადვილად გადატანადი; შეზღუდული.

აქტივობა N 5. დისკუსია (12 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ქვიშით მხატვრობის ვიდეოს იგავზე ,,ძუნწი და ოქრო“ და დისკუსიის ფორმატში სთხოვს უპასუხონ კითხვას: **როდის კარგავს ფული თავის ფუნქციას?**

აქტივობა N 6. შემოქმედებითი წერა - შვიდსტრიქონიანი ლექსი ,,ბრილიანტი“ **(10-12 წთ.)** მასწავლებელი პროექტორით აჩვენებს ე.წ. ,,ბრილიანტის“ ნიმუშის სლაიდს და მოსწავლეებს სთხოვს, მითითებული ინსტრუქციის გათვალისწინებით, შექმნან შვიდსტრიქონიანი ლექსი სიტყვაზე - ,,ფული“



ავტორი: ნესტან კუბლაშვილი, ქ. თბილისის N172 საჯარო სკოლა

ზმნა
დაძრწის

ზმნა
ითხოვს

ზმნა
ართმევს

ოთხსიტყვიანი ფრაზა/წინადადება
მისი ოცნებები არავის ადარდებს

ზმნა
მალავს

ზმნა
ეძებს

ზმნა
წვალობს

ზედსართავი
გარიყული

ზედსართავი
პატარა

არსებითი სახელი
მაწანწალა

აქტივობა N 7. მეთოდი 3-2-1 (10 წთ.)

მოსწავლეები მეთოდით:**3-2-1** შეაჯამებენ გაკვეთილზე მიღებულ ინფორმაციას, შეაფასებენ საკუთარი სწავლის პროცესს და თვითრეფლექსიით ეცდებიან გაიუმჯობესონ გამჭოლი უნარები.

მასწავლებელი დაურიგებს წინასწარმომზადებულ ბარათებს შემდეგი პირობით:

დაასახელეთ:

- **3** მნიშვნელოვანი ფაქტი, **2** საინტერესო მოსაზრება და **1** თქვენთვის მისაღები დასკვნა ფულის შესახებ;
- **3** რამ, რაც მომეწონა საგაკვეთილო პროცესში; **2** რამ, რასაც შევცვლიდი; **1** რჩევა მასწავლებელს;
- **3** შეკითხვა, რომელსაც დავსვამდი ფულთან დაკავშირებით; **2** სიტყვა, რომლის მნიშვნელობა გაკვეთილზე გავიგე/გავიაზრე; **1** რამ, რაზეც მეტი ინფორმაციის მიღებას ვისურვებდი.

შევსებული ბარათების ანალიზი მასწავლებელს დაეხმარება დაადგინოს, როგორ გაიაზრეს მოსწავლეებმა მიწოდებული მასალა და შესაბამისად დაგეგმავს მომდევნო გაკვეთილს.

მოსწავლეები, გარდა ზემოთ აღნიშნული თვითრეფლექსიისა, შეფასდებიან დისკუსიის უნარ-ჩვევით.

	დისკუსიის შეფასების რუბრიკა	
1.	**საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთება**	ქულა
	მონაწილე საკუთარ აზრს ყოველთვის არგუმენტირებულად ასაბუთებს.	2
	მონაწილე საკუთარ აზრს ძირითადად არგუმენტირებულად აყალიბებს.	1
	არგუმენტაცია ბუნდოვანი და არადამაჯერებელია.	0
2.	**სხვისი აზრის მოსმენა/გათვალიასწინება**	
	მონაწილე ყოველთვის უსმენს სხვის მოსაზრებას, ითვალისწინებს, ავითარებს საკუთარ პოზიციას.	2
	სხვისი აზრი მონაწილისთვის უმნიშვნელოა, მხოლოდ ფორმალურად უსმენს და არ რეაგირებს.	1
	მონაწილე არ უსმენს სხვის აზრს და მხოლოდ თავის მოსაზრებაზე აპელირებს.	0
3.	**წესებისა და პროცედურების დაცვა**	
	მონაწილე მაქსიმალური სიზუსტით იცავს დისკუსიისთვის წინასწარ მომზადებულ წესებს.	2
	მონაწილე ხშირ შემთხვევაში არ იცავს დისკუსიისთვის წინასწარ მომზადებულ წესებს.	1
	მონაწილე არ იცავს დისკუსიისთვის წინასწარ მომზადებულ წესებს.	0
4.	**საკუთარ და სხვათა მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე დასკვნის გამოტანა**	
	მონაწილეს დისკუსიის დროს ყოველთვის გამოაქვს დასკვნა, შეუძლია გაანალიზება/შეფასება.	2
	მონაწილე ცდილობს დასკვნის გამოტანას, მაგრამ ეს მხოლოდ აზრის ჩამოყალიბებაა.	1

	მონაწილეს არ შეუძლია დასკვნის გამოტანა და მხოლოდ შეხედულების გამოთქმით კმაყოფილდება.	0

გაკვეთილი N2

თემა: ფული და ბარტერი
სასწავლო მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ, რა სირთულეები ახლდა ბარტერულ გაცვლას.

მოსწავლე შეძლებს: შეაფასოს ფულისა და ბარტერის დადებითი/უარყოფითი მხარეები.

მნიშვნელოვანი ცნება: ნატურალური გაცვლა, ბარტერი.

საკვანძო კითხვა: რა უპირატესობა ახასიათებს საქონლისა და მომსახურების ერთმანეთში გაცვლას ფულის გარეშე?

საჭირო რესურსები: ფერადი ფანქრები, ფურცელი, კალამი, დაფა, მაგნიტი, პროექტორი, ლეპტოპი, ბარათები კოგნიტური სქემებისთვის (ასოციაციის სქემა, სიტუაციური ამოცანა, სქემა ,,მოვლენების ჯაჭვი", სქემა ,,დროის ღერძი"), ფულის ისტორიის ბარათები, ბურთი.

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 60 წთ.

მასწავლებლის ქმედება:

აქტივობა N1. სიტუაციური ამოცანა (ქეისი) (5 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს წაუკითხავს ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან ,,ოთარაანთ ქვრივი" ერთ ადაპტირებულ ეპიზოდს:

,, ერთხელ ოთარაანთ ქვრივს ერთი მათხოვარი მიადგა კარს. ქვრივმა შეამჩნია, რომ მათხოვარს ფეხუცმელობით ფეხები დაჰხეთქოდა. ქვრივი შევარდა სახლში, იღლიის ქვეშ ამოიჩარა 6 შოთის პური და სოფლის ბაზარში წავიდა. ერთი შოლტი (აჭრა) საქალამნე ღორის ტყავი გადმოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, სანაცვლოდ ტყავი გამოართვა და მათხოვარს ქალამნების შესაკერად აჩუქა."

აქტივობა N2. კითხვა-პასუხი: (7-8 წთ.)

1. სასურველი ნივთის შესაძენად ოთარაანთ ქვრივმა ფულის ნაცვლად რა გამოიყენა?
   (ბარტერი - შოთები გადაცვალა საქალამნე ტყავში)
2. რა ეწოდება ასეთ გაცვლას?
   (ბარტერი. ეს არის საქონლის ან მომსახურების პირდაპირ გაცვლა ერთმანეთში ფულის გამოყენების გარეშე)
3. გაცვლის რა საშუალებები არსებობდა ადრე?
   (გაცვლა ხდებოდა ,,ბუნებრივი" ფულით, როგორიცაა: ნიჟარები, ქვები, მარგალიტები, ძვირფასი ლითონი, შინაური ცხოველები და ა.შ.)

4. როგორ შეეძლო ადამიანს სასურველი საქონლის ყიდვა, თუკი არანაირი გასაცვლელი საგანი არ ჰქონდა?
   (შეეძლო შეეთავაზებინა საკუთარი უნარები და ცოდნა, მაგალითად ექიმის ან მჭედლის მომსახურება)
5. რა უპირატეობები აქვს ბარტერს ანუ საქონლის გაცვლას?
   (ფულს კი არ ხარჯავთ ნივთის შესაძენად, არამედ თმობთ ნივთს, რომელიც ფულზე ნაკლებად გჭირდებათ.)
6. თქვენ ხომ არ მიგიღიათ მონაწილეობა ბარტერში, მაგ. ერთი კომპიუტერული თამაში გაგიცვლიათ მეორეში?
   (სავარაუდოდ, ექნებათ მსგავსი გამოცდილება)

აქტივობა N3. სიტყვის/ცნების ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემის გამოყენებით მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ და გაიაზრონ ,,ბარტერის“ მნიშვნელობა. **(10 წთ.)**

სიტყვა - ბარტერი	**ნახატი** -
განმარტება -	**მაგალითი/ასოციაცია** -

აქტივობა N4. ვიდეორგოლის ჩვენება (6-7 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოს თემაზე: ,,ფულის ისტორია“ და სთხოვს ამ ფორმით მოწოდებული მასალიდან ჩაინიშნონ საკვანძო სიტყვები/ფაქტები/მოვლენები.

აქტივობა N5. სქემა: ,,მოვლენების ჯაჭვი“ (7-8 წთ.)

მოსწავლეებს დაევალებათ სქემის ,,მოვლენების ჯაჭვი“ გამოყენებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგონ ის საკვანძო ინფორმაცია, რომელიც ,,ფულის ისტორიის“ ყურების პარალელურად ჩაინიშნეს.

პ.ს. აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს ან, საჭიროების შემთხვევაში, აუხსნის, რას ნიშნავს ქრონოლოგიური თანმიმდევრობა

(სქემის ნიმუში)



აქტივობა N6 ჯგუფური მუშაობა (10 წთ.)

მასწავლებელი დაყოფს მოსწავლეებს 10 -კაციან გუნდებად, დაურიგებს ,,ფულის ისტორიის ბარათებს“ (თითო ბავშვს თითო ბარათი უნდა შეხვდეს), სთხოვს ყურადღებით წაიკითხონ თითოეულ ბარათზე დატანილი ტექსტი, შემდეგ საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე ფლიპჩარტის ფურცელზე დახაზონ ე.წ. ,,დროის ღერძი“, ქრონოლოგიურად დაალაგონ ფულის განვითარების ისტორია და წარმოადგინონ კლასის წინაშე.

გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც უფრო სწრაფად და სწორად შეავსებს ,,დროის ღერძს“.

,,დროის ღერძის“ ნიმუში მასწავლებელს დახაზული ექნება დაფაზეც და გამარჯვებული გუნდი ფულის ისტორიის ბარათებს მაგნიტით დაამაგრებს მასზე.



დანართი 1 : ფულის ისტორიის ბარათები

(მოცემული რესურსი აღებულია სახელმძღვანელოდან: „ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის - სკოლა ბანკი“)

უძველეს დროში, ფულის გამოგონებამდე, ადამიანები ერთმანეთს ჩუქნიდნენ, სესხად აძლევდნენ ან პირდაპირ ცვლიდნენ ერთმანეთში საქონელს. მაგალითად, ცხვარი შეიძლებოდა მარცვლეულსა ან ბოსტნეულზე გაცვლილიყო. საქონელგაცვლას „ბარტერი“ ეწოდება. ბარტერის ყველაზე ადრეული მაგალითები ეგვიპტეში ძვ. წ. 9000 წელს გვხვდება. მხარეები, რომლებიც ბარტერულ გარიგებაში იყვნენ ჩართულნი, ერთმანეთში თანხმდებოდნენ, თუ რა ღირებულება ჰქონდა ამა თუ იმ საქონელს. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმებულიყვნენ, რომ 10 ქათმით 1 ღორის, ხოლო 15 კვერცხით – 1 კგ. ხორბლის ყიდვა იყო შესაძლებელი. ცხოველის ტყავი, მარილი, იარაღი და სამუშაო ინსტრუმენტები ადვილად გაცვლად საქონლად მიიჩნეოდა.

ძვ. წ. 1200 წელს, ინდოეთის სანაპიროებზე საქონლის გაცვლა–გამოცვლის, ანუ ბარტერის პროცესში, აქტიურად გამოიყენებოდა ნიჟარები. ნიჟარა მონეტის წინამორბედად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ძვ. წ. 1100 წელს, ჩინეთში, ბარტერულ გარიგებებში აქტიურად დაიწყეს ბრინჯაოს გამოყენება. ბრინჯაო ნელ–ნელა ფულის უნივერსალურ ფორმად იქცა.

პირველი მონეტები თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ლიდიას სამეფოში ძვ. წ. 600 წელს დამზადდა. ეს მონეტები იყო მრგვალი, მზადდებოდა ოქროსა და ვერცხლის ნაზავით, და მათზე ლომი იყო გამოსახული.

ჩვ. წ. მე-10 საუკუნიდან ჩინეთში ქაღალდის ფულის აქტიურად გამოყენება დაიწყეს. ამ ადრეულ ფულზე დატანილი იყო გაფრთხილება, რომლის მიხედვითაც, ფულის გამყალბებლებს თავის მოკვეთით დასჯიდნენ!

1290 წელს მარკო პოლომ ჩინეთში იმოგზაურა და აღმოაჩინა, რომ იქ ქაღალდის ფულს იყენებდნენ. მან ეს გამოგონება ევროპაში ჩამოიტანა.

ქაღალდის ფული ევროპაში 1661 წლამდე არ არსებობდა. ამ წელს, შვედეთში პირველი ბანკნოტი დაიბეჭდა.

1860 წელს „ვესტერნ იუნიონმა“ (Western Union) ფულის ტელეგრაფით გადარიცხვის მეთოდი გამოიგონა.

1946 წელს ნიუ იორკში ბანკირმა ჯონ ბრიგსმა პირველი საკრედიტო ბარათი გამოიგონა.

1967 წელს ლონდონში გამომგონებელმა ჯონ შეფერდ ბარონმა პირველი ბანკომატი გამოიგონა. ამბობენ, რომ ჯონს ეს იდეა, არქიმედეს მსგავსად, აბაზანაში დაებადა!

აქტივობა N 7. შეჯამების ბურთი. (10 წთ.)

მოსწავლეები დადგებიან წრეზე, მასწავლებელი ბურთს გადაუგდებს რომელიმე მოსწავლეს. იგი დაიჭერს ბურთს და 10 წამის განმავლობაში ამბობს მნიშვნელოვან ფაქტს/ცნებას/მოსაზრებას ფულის ისტორიიდან. პასუხის შემდეგ ბურთს გადაუგდებს სხვა მოსწავლეს და თითოეული მონაწილე ახალ ფაქტს ამატებს უკვე თქმულს. ის მოსწავლე, რომელიც ვერაფერს დაამატებს ან გაიმეორებს სხვების ნათქვამს, ეთიშება თამაშს.

თამაში გრძელდება მანამ, ვიდრე მონაწილეები არ ამოწურავენ საკუთარ შესაძლებლობებს.

გაკვეთილზე შეფასდება მოსწავლეთა **ჩართულობა**

შედეგები	**1-2**	**3-4**	**5-6**	**7-8**	**9-10**
აქტიური მონაწილეობა	არ არის ჩართული არცერთ აქტივობაში	მინიმალურად ერთვება საკლასო აქტივობებში	პერიოდულად ერთვება, მაგრამ არანაყოფიერად	ძირითადად აქტიურია, მაგრამ არ არის თანმიმდევრული	აქტიურადაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში
აზრის დამოუკიდებლად გამოთქმა	ვერ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას	არ ავლენს ინიციატივას აზრის გამოსათქმელად	მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოთქვამს საკუთარ აზრს	გამოთქვამს საკუთარ აზრს, მაგრამ უჭირს არგუმენტირება	შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობით საკუთარი მოსაზრების დასაბუთება
სხვისი აზრის მოსმენა და ურთიერთპატივი სცემა	არ აინტერესებს და არც უსმენს სხვას	იშვიათად უსმენს, მაგრამ შეუძლია შეაწყვეტინოს აზრი	უსმენს, მაგრამ უჭირს მიიღოს და პატივი სცეს სხვის აზრს	უსმენს სხვების აზრს, კორექტულია, მაგრამ ხანდახან უჭირს გაზიარება.	ყურადღებით ისმენს, აანალიზებს და პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებებს

გაკვეთილი N3

თემა: ფული და ვალუტა
სასწავლო მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ, რა კავშირი აქვს ადამიანის ფინანსურ კეთილდღეობასთან ვალუტის სტაბილურ კურსს.

მოსწავლე შეძლებს: ამოიცნოს სხვადასხვა ქვეყნის ვალუტა, დაადგინოს ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის ღირებულება და დააკონვერტიროს საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

მნიშვნელოვანი ცნება: ვალუტა, გაცვლითი კურსი, კონვერტაცია.

საკვანძო კითხვა: რა განაპირობებს ვალუტის კურსის სტაბილურობას?

საჭირო რესურსები: კალამი, ფურცელი, პროექტორი, ლეპტოპი, ე.წ. დომინოს ბარათები, მაგნიტები, სმარტფონი.

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 60 წთ.

მასწავლებლის ქმედება:

აქტივობა N1 რეფლექსია (5 -6 წთ.)

მასწავლებელი ბავშვებს დასვამს წრეზე და წინა გაკვეთილიდან დაუსვამს შემდეგ შეკითხვებს:

1. რომელი აქტივობით დავიწყეთ წინა გაკვეთილი?
2. რა მოხდა ამის შემდეგ?
3. წინა გაკვეთილიდან რა ინფორმაცია დაგამახსოვრდათ?

აქტივობა N2 შემოქმედებითი წერა - გააგრძელე ზღაპარი (10 -12 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს წაუკითხავს გიორგი ელიზბარაშვილის ტექსტიდან ,,ფულის პატარა თავგადასავალი - ბარტერიდან კრიპტოვალუტამდე“ ამონარიდს და სთხოვს გააგრძელონ ზღაპარი იმ ინფორმაციის გამოყენებით, რომელსაც წინა ორი გაკვეთილის ფარგლებში გაეცნენ.

,,იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ძალიან დიდი ხნის წინ ტყის პირას კაცი ნადირობდა და ოჯახს კვებავდა. ერთ დღეს ნადირის ძებნაში მდინარეს მიადგა. დაინახა, რომ ვიღაც უცნობი თევზაობდა. გამოელაპარაკნენ ერთმანეთს. მეთევზემ თევზი გაასინჯა, მონადირემ - ნანადირევი. განსხვავებული საკვები ორივეს მოეწონა. გადაწყვიტეს ერთმანეთს ყოველ მეორე მზის ამოსვლისას შეხვედროდნენ და გაეცვალათ მოპოვებული საკვების ნაწილი. ასე დაიწყო ბარტერი...“

აქტივობა N 3. <u>პრეზენტაცია</u> თემაზე: ფული და ვალუტა (10 -12 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს წინასწარმომზადებული პრეზენტაციის გამოყენებით **(იხ. დანართი 2)** ჩაუტარებს **მინი-ლექციას** ფულისა და ვალუტის შესახებ.

მასალის პრეზენტაციის პარალელურად მოსწავლეებს დაევალებათ ჩაინიშნონ საკვანძო ინფორმაცია და მასწავლებელს დაუსვან კითხვები წარმოდგენილი თემის ირგვლივ.

აქტივობა N 4. თავსატეხის აწყობა (10 წთ)

მასწავლებელს წინასწარ ექნება დამზადებული ე.წ. **დომინოს ბარათებიც.**

მუყაოსგან გამოჭრის დომინოს მსგავს ფიგურებს, რომლის ნახევარზე დააკრავს ქვეყნის სახელწოდებას შესაბამისი დროშით, ხოლო მეორე ნახევარზე - ვალუტის ილუსტრაციას, რომელსაც ეს ქვეყანა იყენებს. ჭრის შუაზე და ყრის ყუთში. მოსწავლეები სათითაოდ იღებენ ე.წ. დომინოს ერთ ნაწილს და ცდილობენ იპოვონ მეწყვილე მოსწავლე, რომელსაც დომინოს მეორე ნაწილი აქვს. როგორც კი წყვილები ერთმანეთს იპოვიან, დაფაზე მაგნიტებით დაამაგრებენ დომინოს წყვილებს ასეთი თანმიმდევრობით: ქვეყანა + ვალუტა.

თამაში დასრულდება მაშინ, როდესაც მოთამაშეები დომინოს ყველა ბარათს შესაბამისად დააწყვილებენ და ხმამაღლა წაიკითხავენ.

(დანართი 3. ქვეყნისა და ვალუტის ბარათები მომზადებულია სახელმძღვანელოდან „სკოლა - ბანკი“)

აქტივობა N 5. ვალუტის კონვერტაცია (10 -12 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გახსნან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე მითითებული ბმული https://nbg.gov.ge/monetary-policy/currency , გაეცნონ მიმდინარე დღის ვალუტის კურსს, აირჩიონ მათ მიერ აწყობილი თავსატეხიდან სასურველი ვალუტა და გამოთვალონ: რამდენ ლარს უდრის 100, 150, 75, 50, 10 [ვალუტა]?
(რიცხვებს ვთავაზობთ მოსწავლეთა ასაკისა და არჩეული ვალუტის მიხედვით)
ვალუტის კონვერტაციის შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს დაასახელონ, თუ რომელ ვალუტას აქვს ლართან მიმართებაში ყველაზე მაღალი ან დაბალი ღირებულება? ანუ რომელი მათგანით შეძლებენ ყველაზე მეტი ან ნაკლები ლარის ყიდვას?

აქტივობა N 6 გასასვლელი ბილეთები (7-8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს წინასწარმომზადებულ ბარათებს.
(იხილეთ ნიმუში)

გასასვლელი ბილეთი

მოსწავლის სახელი, გვარი _____

მინდა გავიგო უფრო მეტი .....ის შესახებ.

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც დღეს ვისწავლე .....

დღევანდელი გაკვეთილის საუკეთესო ნაწილი იყო .....

მჭირდება დახმარება შემდეგ საკითხში .....

მოსწავლეები ავსებენ ე.წ. გასასვლელ ბილეთებს და საკლასო ოთახიდან გასვლამდე, შევსებულს ტოვებენ განსაზღვრულ ადგილას (მაგალითად:მასწავლებლის მაგიდაზე) მასწავლებელი ეცნობა შევსებულ ბილეთებს, ახარისხებს ორ კატეგორიად:**გაიგო/აითვისა** ან **ვერ გაიგო, ვერ აითვისა** და მომდევნო გაკვეთილზე ითვალისწინებს მოსწავლეთა თვითრეფლექსიის შედეგს.
მოცემულ გაკვეთილზე მოსწავლეები შეფასდებიან ეფექტური გუნდური მუშაობისთვის.

ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკა

	იშვიათად	**ხშირად**	**ყოველთვის**
ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია, დავალებები გადანაწილებულია.			
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს და სხვა ჯგუფის წევრებს.			
ჯგუფის წევრები სრულად და მართებულად წარმოადგენენ პრეზენტაციას.			
ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს, ავლენს პრობლემის გადაჭრის გზას.			
ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს.			

გაკვეთილი 4 .

თემა: პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით)

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები ისწავლიან ბიუჯეტის შედგენას; დაფიქრდებიან, რა შემოსავლები და ხარჯები შეიძლება გაუჩნდეთ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

მოსწავლე შეძლებს: ბიუჯეტის შედგენას.

მნიშვნელოვანი ცნება: ბიუჯეტი, დაზოგვა, შემოსავალი, ხარჯი.

საკვანძო კითხვა: რატომ და როგორ უნდა დავგეგმოთ საკუთარი ბიუჯეტი?

საჭირო რესურსები: ფურცელი, კალამი, ბურთი, ფლიპჩარტის ფურცელი, მარკერი, სიტუაციური ამოცანის ე.წ. ქეისის პირობა, კედელზე გასაკრავი ბარათები, წებოვანი ლენტი, ბიუჯეტის შაბლონი, დაფა, ცარცი.

გაკვეთილის ხანგრძლივობა: 60 წთ.

მასწავლებლის ქმედება:

აქტივობა N1.გონებრივი იერიში ბურთით (7-8 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, რომ დადგნენ წრეზე და აუხსნის თამაშის წესებს: პირველი მოთამაშე დაიწყებს წინადადებას დაზოგვასთან დაკავშირებით (მაგალითად: ადამიანები ხშირად იმისთვის ზოგავენ, რომ.....), შემდეგ რომელიმე მონაწილეს გადაუგდებს ბურთს და ის მოთამაშე, რომელიც ბურთს დაიჭერს, ასრულებს პირველი მოთამაშის დაწყებულ წინადადებას. წინადადების დასრულების შემდეგ ეს მოსწავლე თავიდან იწყებს ახალ წინადადებას იმავე თემზე (მაგ. მე დამიზოგავს იმიტომ, რომ..... დანაზოგი დამეხმარება.....) და ბურთს წრეზე მდგომ სხვა მოთამაშეს გადაუგდებს, რომელიც, თავის მხრივ, ვალდებულია დაასრულოს დაწყებული წინადადება და ბურთი სხვა მოთამაშეს გადააწოდოს.

ვინც ვერ შეძლებს წინადადების გაგრძელებას, ამბობს:,,შემდეგი“ და ეთიშება თამაშს.

თამაშის პროცესში გაჟღერებულ წინადადებებს პლიფჩარტის ფურცელზე წერს ორი მოხალისე. თამაშის დასრულების შემდეგ კი მასწავლებელთან ერთად მონაწილეები საკუთარ მოსაზრებებს აჯამებენ სამ სვეტიან ცხრილში

დამიზოგავს პირადი მოხმარების მიზნით (ახალი ჩანთა, საჩუქარი	**მოულოდნელი მოვლენების გამო** (ავადმყოფობა, გაფუჭებული ტელეფონი)	**სამომავლო შესაძლებლობებისთვის** (ცურვაზე სიარული, უცხო ენაში მომზადება)

აქტივობა N2. სტატიის:,,8 ნაბიჯი ბიუჯეტის შესადგენად“ გაცნობა სახალისო **თამაშით:,,სავარჯიშო სირბილში“ (15 წთ.)**

(აღნიშნული აქტივობა მოდიფიცირებულია სახელმძღვანელოდან ,,სკოლა ბანკი“)

თამაშის ინსტრუქცია:გაკვეთილის დაწყებამდე მასწავლებელი საკლასო ოთახის კედლებზე გააკრავს წინასწარმომზადებულ ბარათებს, რომელზეც სტატიიდან ამონარიდებია დაწერილი.

მოსწავლეებს დაყოფს 3-წევრიან ჯგუფებად და სთხოვს გაითვალონ:პირველი, მეორე, მესამე.

ჯგუფებში ყველა N2 იქნება ,,მწერალი“, ხოლო N1 და N3 ,,მორბენალი“.

,,მორბენლებს“ ევალებათ მიირბინონ კედლებზე გაკრულ ბარათებთან, წაიკითხონ ინფორმაცია, დაიმახსოვრონ საკვანძო დეტალები და უკარნახონ ე.წ. ,,მწერლებს“.

,,მწერლების“ მოვალეობაა მოწოდებული ინფორმაცია სწორად გადაიტანონ პასუხების ფურცლებზე.

გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც პირველი შეავსებს პასუხების ფურცელს.

ამის შემდეგ გუნდის ,,მწერლები“ ხმამაღლა წაიკითხავენ ჩაწერილ ინფორმაციას, მასწავლებელი კი **კითხვა-პასუხის** მეთოდით შეამოწმებს მოსწავლეთა დეკლარატიულ ცოდნას განსახილველ საკითხზე.

1. რას ნიშნავს სიტყვა ,,ბიუჯეტი“?
2. რაში გვეხმარება სწორად შედგენილი ფინანსური გეგმა?
3. რა კავშირი აქვს ბიუჯეტირებას ფინანსურ კეთილდღეობასთან?
4. როგორ განმარტავ ფიქსირებულ და ცვლად შემოსავალს?
5. რამდენგვარი ხარჯის ფორმა არსებობს?
6. რატომ არის აუცილებელი ხარჯების დაჯამება და ნაშთის გამოანგარიშება?

ბარათი 1.

ბიუჯეტი ნიშნავს ტყავის ჩანთას, საფულეს ან ტომარას და თანამედროვე რეალობაში ასახავს შემოსავლების ხარჯებად და დანაზოგებად გადანაწილების სურათს. სწორად შედგენილი ბიუჯეტი ანუ ფინანსური გეგმა გვეხმარება ფინანსური მიზნების მარტივად მიღწევაში.

ბარათი 2.

თქვენი მიზნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, პირადი ბიუჯეტი შეიძლება ნებისმიერ პერიოდზე შედგეს, მაგრამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ თქვენი შემოსავლის მიღების პერიოდულობა ანუ დროის ის შუალედი, როდესაც იღებთ ხელფასს.

როგორც წესი, ადამიანები ანაზღაურებას თვეში ერთხელ იღებენ, ამიტომ სასურველია

ბარათი 3.

განსაზღვრეთ სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც ამ პერიოდში ელოდებით. ჩამოწერეთ მომავალი ერთი თვის განმავლობასი მისაღები შემოსავლები.
გაითვალისწინეთ, რომ შემოსავლებში იგულისხმება როგორც ფიქსირებული (ხელფასი, სტიპენდია), ასევე ცვლადი (ნაჩუქარი ფული, რიგგარეშე პრემია) ხასიათის შემოსავალი.
.

ბარათი 4.

საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარების გზით თქვენ თავიდან აირიდებთ მიმდინარე თვის ბიუჯეტში შესაძლო შეცდომებს და უკეთ შეძლებთ მომდევნო თვის დაგეგმვას.

შეაჯამეთ საპროგნოზო შემოსავლის სვეტში თქვენ მიერ მითითებული თანხები - ეს ერთი თვის განმავლობაში მისაღები თქვენი მთლიანი შემოსავალია და პირადი ბიუჯეტის შედგენის მნიშვნელოვანი ეტაპი დასრულდება.

ბარათი 5.

შემოსავლების მსგავსად, ხარჯებიც ორგვარია: ფიქსირებული (ბინის ქირა, ინტერნეტი) და ცვლადი (კინოს ბილეთები, სამოსის შეძენა)

ბიუჯეტის ეფექტური მართვისთვის მნიშვნელოვანია აუცილებელი და არააუცილებელი ხარჯების განსაზღვრა.

ეს დაგეხმარებათ თავი შეიკავოთ არასაჭირო ნივთების შეძენისგან, დაზოგოთ და არ გაფლანგოთ ფული.

ბარათი 6.

აუცილებელია ხარჯების დაჯამება და ნაშთის გამოანგარიშება.

თუ ნაშთი 0-ზე ნაკლებია ანუ თქვენი ხარჯები შემოსავალს აჭარბებს, ბიუჯეტი დეფიციტურია და ფინანსური სირთულეები გარდაუვალია.

თუ ნაშთი 0-დან 10% -მდეა, ეს ნიშნავს, რომ თქვენი შემოსავლებიდან რაღაც თანხა გრჩებათ, მაგრამ დანაზოგის შესაქმნელად მცირე მოცულობით.

თუ ნაშთი 10%-ზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ თავისუფალი თანხა გრჩებათ და შეგიძლიათ დანაზოგის სახით დააბანდოთ.

ბარათი 7.

ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია დაზოგვა და ფინანსური მიზნების განსაზღვრა.

ფინანსური მიზნები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი.

ბარათი 8.

აღრიცხეთ მცირე ხარჯებიც კი, მაგალიათად: ტკბილეული, საღეჭი რეზინა..

ეცადეთ ყოველ დღე შეადაროთ ერთმანეთს საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები. ეს მოგცემთ საშუალებას დაინახოთ საკუთარი ხარჯვისა და დაზოგვის ტენდეციები და დაგეხმარებათ უფრო მარტივად დაგეგმოთ მომდევნო თვის ბიუჯეტი.

აქტივობა N3. სიტუაციური ამოცანა (ქეისი) (10-12 წთ.)

ანა და ბენო მეზობლები, მეგობრები და კლასელები არიან 15-15 წლის. ისინი ყოველ დილით ერთად მიდიან სკოლაში მუნიციპალური ავტობუსით. სკოლის მოსწავლეებისათვის მგზავრობა უფასოა, თუმცა, საკვებისა და სხვა საჭიროებებისათვის სასწავლო დღეებში მშობლები ორივეს მაინც აძლევენ დღეში 5 ლარს.

ბენოს მამა დღიურ 5 ლართან ერთად, თვეში ერთხელ, 100 ლარს ურიცხავს საბანკო ანგარიშზე (სქულქარდზე), დღიური ხარჯვის ლიმიტად არაუმეტეს 10 ლარი აქვს განსაზღვრული.

ბენო მოპედზე/სკუტერზე ოცნებობს. მას უყვარს სწრაფი მოძრაობა, განსხვავებული ემოციების შეგრძნება, ექსტრემალური სპორტი, იცის მოპედების მახასიათებლები, უყურებს მოტორბოლებს, თამაშობს ამავე თემატიკის კომპიუტერულ თამაშებს. მშობლები ხშირად აძლევენ შენიშვნას ბენოს იმის გამო, რომ თამაშსა და ოცნებას მეტ დროს ანდომებს, ვიდრე სწავლას, მაგრამ ბენოს არ უნდა საკუთარ ოცნებაზე უარი თქვას და იღებს გადაწყვეტილებას - შეაგროვოს თანხა, მაგრამ როგორ მოახერხოს ეს, არ იცის.

ერთ დღეს ბენო სოციალურ ქსელში ასეთ განცხადებას წააწყდა: ,,თუ ჩაგვაბარებთ პლასტმასის დაპრესილ ბოთლებს, 1 კილოგრამში მიიღებთ 1 ლარს“. იქვე იყო ჩამონათვალი, კიდევ რა ტიპის ნარჩენების გადაცვლა შეიძლებოდა ვირტუალურ ფულზე ანუ ქოინებზე, რომლითაც გარკვეულ მაღაზიებში ფასდაკლებით შეიძლებოდა სხვადასხვა ნივთის შეძენა.

ბენომ ანასთან ერთად გადაწყვიტა ეს განცხადება საკუთარი შემოსავლების წყაროდ ექცია და მეორე დღესვე დაიწყეს ბოთლების მოძიება-შეგროვება. თავისი უბნის კორპუსების ყველა სადარბაზოში დადგეს ყუთი სლოგანით: ,,ნუ გადაყრით პლასტმასის ნარჩენებს, გვაჩუქეთ ჩვენ“, რითაც თვის ბოლოს მოახერხა 200 ლარის გამომუშავება. ამ ფაქტმა უფრო თავდაჯერებული გახადა და ვიდეოთამაშების ნაცვლად, თავისუფალ დროს, კვირაში 3-ჯერ, თითო საათით, ავტოსახელოსნოში დაიწყო დამხმარედ მუშაობა, რისთვისაც საათში 10 ლარს იღებდა. ბენომ შეამცირა დღიური სახარჯი ფულიც და ე.წ. სქულქარდზე დარიცხული თანხიდან 50 ლარი დაზოგა, მაგრამ მეგობრებთან ერთად კინოში წავიდა და 30 ლარი შემოეხარჯა.

ბენოს უფროსი ძმა, 20 წლის გიო, თავისუფალ დროს, კურიერად მუშაობს. შაბათ-კვირას მას ბენოც ეხმარება, რისთვისაც ძმა დღეში 20 ლარს უხდის.

ბენოს ოცნების შესახებ როცა ბებომ და ბაბუმ შეიტყვეს, გადაწყვიტეს დახმარებოდნენ, მაგრამ გარკვეული პირობებით: თუ დილით ადრე ბენო ძაღლს გაასეირნებდა, ბებო, პენსიის დღეს, 50 ლარს მისცემდა, ხოლო თეატრის მოყვარულ ბაბუს სპექტაკლზე თუ გაჰყვებოდა, გასამრჯელოდ დამატებით 30 ლარს მიიღებდა. ასეთ შემოსავალზე ბენო უარს ნამდვილად არ იტყოდა და სიამოვნებით დათანხმდა, მაგრამ ბაბუს მიცემული 30 ლარიდან 20 იმ დღესვე დახარჯა, როცა გულმავიწყ ბაბუს ქუდი სახლში დარჩა და უყიდა.

ბენომ შემდეგი თვისთვის ბიუჯეტის შედგენა გადაწყვიტა, დაეხმარეთ მას!

შესასრულებელი დავალება: მოვნიშნოთ ქეისში ყველა ის დეტალი, რომელიც ბიუჯეტის შედგენის დროს დაგვჭირდება და დავეხმაროთ ბენოს საოცნებო სკუტერის შეძენაში.

აქტივობა N 4. ბენოს -სიტუაციური პერსონაჟის ბიუჯეტის შედგენა (15 წთ.)

მასწავლებელი ხელახლა დაყოფს კლასს 5-6 კაციან ჯგუფებად. დაურიგებს ბიუჯეტის ფურცლის შაბლონს და სთხოვს, ბენოს ფინანსური მონაცემების გათვალისწინებით, შეავსონ მისი ერთი თვის ბიუჯეტი.

(შევსებული ბიუჯეტის ნიმუში))

სახელი და გვარი: ბენო 15 წლის **ბიუჯეტის პერიოდი: ერთი თვე 1-31 ოქტომბერი, 2023 წელი**	
ბიუჯეტის პუნქტები	რაოდენობა (თანხა)
შემოსავალი	
სამსახური	სახელოსნოში დამხმარედ -120 ლარი
ჯიბის ფული	5 ლარი 26 დღე ნაღდი ფული=130 ლარი 100 ლარი -უნაღდო (სქულქარდზე დარიცხული)
საჩუქარი / სტიპენდია / დახმარება / სხვა	ძმა - 80 ლარი ბებო - 50 ლარი ბაბუ - 30 ლარი პლასტმასის ბოთლების ჩაბარებით - 200 ლარი
ჯამური შემოსავალი	710 ლარი
ხარჯები	
აუცილებელი ხარჯები	
საკვები	130 ლარი
სასკოლო/საკანცელარიო ნივთები	
ტანისამოსი (მაგ. ქუდი, ქურთუკი)	20 ლარი
ტრანსპორტი (მაგ. ავტობუსის აბონემენტი)	
ჯანმრთელობა (მაგ. წამალი, ცურვის აბონემენტი)	
სხვა	
არააუცილებელი ხარჯები	
კინო / თეატრი / მუზეუმი / პარკი	30

საჩუქარი (მეგობრისთვის, ძმისთვის)	
ახალი ტექნიკა	
სხვა	
დანაზოგი	50 ლარი
ჯამური ხარჯები და დანაზოგი ერთად	180+50=230 ლარი
ნაშთი (დეფიციტი ან პროფიციტი)	710-230=480 ლარი

აქტივობა N 5. საკვანძო კითხვები სამსჯელოდ **(5-6 წთ.)**

1. თქვენს ოჯახში როგორ იქცევიან, ნაღდ ფულს გაძლევენ თუ სქულქარდზე რიცხავენ?
2. თქვენი აზრით რატომ აქვს ბენოს ბარათზე დღიური ხარჯვის ლიმიტად 10 ლარი განსაზღვრული?
3. მოცემული ქეისიდან რა დეტალები დაგეხმარათ ბენოს პირადი ბიუჯეტის შესადგენად?
4. რა რჩევას მისცემდით ბენოს, როგორ შეუძლია გააუმჯობესოს თავისი ფინანსური გადაწყვეტილებები, რომ ოცნება აიხდინოს და სკუტერი შეიძინოს?
5. დაიანგარიშე, რა პერიოდში შეძლებს ბენო ასეთი დანაზოგით სკუტერის შეძენას?

რეალისტური სცენარი 1: ერთ-ერთმა ეკომეგობრულმა ქართულმა კომპანიამ გამოაცხადა კონკურსი: ერთი კვირის განმავლობაში ვინც დააგროვებდა 400 კგ პლასტმასის ნარჩენს, განათავსებდა ,,ბოთლიყლაპია“ აპარატში, სპეციალურად გახსნილ ანგარიშზე დაერიცხებოდა 100 ტენე ქოინი, რომელსაც გადაცვლიდა 3000 ლარის ღირებულების ელექტრო სკუტერში. 400 კგ პლასტმასა=100 ტენექოინს=3000 ლარს და ბენოს ოცნებაც რეალობად იქცევა.

სცენარი 2. ბენო თუ ოქტომბრის თვის მსგავსად ეცდება თანხის დაზოგვას .....

აქტივობა N6. ერთწინადადებიანი შეჯამება. (5 წთ.)
მოსწავლეები სხდებიან ე.წ. რეფლექსიურ წრეზე და ერთი შემაჯამებელი წინადადებით პასუხობენ შეკითხვას: და მაინც, **რაში გვეხმარება ბიუჯეტი?**
(სავარაუდო პასუხები: იმის გადაწყვეტაში, მოცემულ თვეს რამდენის დახარჯვა შემიძლია
რამდენის დაზოგვა შემიძლია
უაზრო და ზედმეტი ხარჯების გამოვლენაში
შემოსავლის გონივრულად გადანაილებაში
შესაძლებლობის ფარგლებში ხარჯვაში)

გაკვეთილზე შეფასდება მოსწავლეთა **ჩართულობა**

შედეგები	**1-2**	**3-4**	**5-6**	**7-8**	**9-10**
აქტიური მონაწილეობა	არ არის ჩართული	მინიმალურად ერთვება	პერიოდულად ერთვება,	ძირითადად აქტიურია,	აქტიურადაა ჩართული

	არცერთ აქტივობაში	საკლასო აქტივობებში	მაგრამ არანაყოფიერად	მაგრამ არ არის თანმიმდევრული	საგაკვეთილო პროცესში
აზრის დამოუკიდებლად გამოთქმა	ვერ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას	არ ავლენს ინიციატივას აზრის გამოსათქმელად	მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოთქვამს საკუთარ აზრს	გამოთქვამს საკუთარ აზრს, მაგრამ უჭირს არგუმენტირება	შეუძლია არგუმენტირებული მსჯელობით საკუთარი მოსაზრების დასაბუთება
სხვისი აზრის მოსმენა და ურთიერთპატივი სცემა	არ აინტერესებს და არც უსმენს სხვას	იშვიათად უსმენს, მაგრამ შეუძლია შეაწყვეტინოს აზრი	უსმენს, მაგრამ უჭირს მიიღოს და პატივი სცეს სხვის აზრს	უსმენს სხვების აზრს, კორექტულია, მაგრამ ხანდახან უჭირს გაზიარება.	ყურადღებით ისმენს, აანალიზებს და პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებებს

გაკვეთილი N 5.

თემა: დაზღვევა

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ, რა უპირატეობები აქვს დაზღვევას, როგორც ფინანსურ ინსტრუმენტს, მოსალოდნელი რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან ასაცილებლად ან დანაკარგების მინიმუმამდე შესამცირებლად და როგორ ეხმარება დაზღვევა ადამიანს გამოიმუშავოს დაზოგვის უნარ-ჩვევა.

მოსწავლე შეძლებს: სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინების დასწავლას, დაზღვევის ტიპებისა და სამ ძირითად მიმართულებად დაყოფილი სახეობების გარჩევას. სადაზღვევო კომპანიების არჩევისას, როგორ უნდა განასხვავოს/უპირატესობა მიანიჭოს რომელიმეს.

მნიშვნელოვანი ცნება: დაზღვევა

საკვანძო კითხვა: რა არის დაზღვევა? დაზღვევის შეძენა რა კავშირშია დაზოგვასთან?

საჭირო რესურსები: საინფორმაციო ტექსტის მიხედვით დამზადებული ბარათები, ქაღალდის სამაჯურები, ფურცელი, კალამი, ე.წ. ქეისი, ლეპტოპი, სმარტფონი, პროექტორი.

მასწავლებლის ქმედება:

აქტივობა N1. მოზაიკა (15 -20 წთ.)

მასწავლებელი განსახილველ საინფორმაციო ტექსტს წინასწარ დაჰყოფს იმდენ ნაწილად, რამდენი ჯგუფიც იმუშავებს კლასში.

შემდეგ კლასს ჰყოფს 4-კაციან ჯგუფებად (მნიშვნელოვანია ჯგუფებისა და ჯგუფის წევრთა რაოდენობა ერთმანეთს ემთხვეოდეს. მაგალითად: თუ არის ოთხი ჯგუფი, თითოეულ ჯფუფში უნდა იყოს ოთხი წევრი. თუ ზუსტად არ იყოფა ბავშვების რაოდენობა, შესაძლებელია ერთი ინდივიდის როლი წყვილმა შეასრულოს).
მასწავლებელი თითოეულ ჯგუფს მიანიჭებს გარკვეულ ნომერს/ფერს და ურიგებს შესაბამის ბარათებს (მაგალითად: მეორე ჯგუფის ყველა წევრი მიიღებს ბარათს 2-იანის გამოსახულებით ან ლურჯი ფერის ქაღალდის სამაჯურს.) ასეთი დაყოფა ბავშვებს დაეხმარება გადაჯგუფების პროცესში.
მასწავლებელი მოსწავლეებს დასამუშავებლად აძლევს შესასწავლი ტექსტის თითო ნაწილს წინასწარმომზადებული აქტივობის ბარათებით, რომელზეც დატანილი იქნება:შეკითხვები, მინიშნებები, ინსტრუქციები (იხილეთ ბარათის ნიმუშები)
ყველა ჯგუფი ამუშავებს ტექსტის მიცემულ ნაწილს მასწავლებლის მიერ მითითებული სტრატეგიების გამოყენებით.
მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შესწავლითი კითხვის მეთოდით ჩაინიშნავენ ტექსტიდან მნიშვნელოვან ინფორმაციას, მასწავლებელი გადააჯგუფებს მოსწავლეებს.
ახალი ჯგუფის დაკომპლექტების პრონციპი ასეთია: თითოეულ ახალ ჯგუფში თავს იყრის თავდაპირველი ჯგუფის თითო წევრი (იხ. მე-2 ფაზა)
ამგვარი დაჯგუფება აუცილებელია, რათა ყველა ჯგუფში მოხდეს განსახილველი ტექსტის გამთლიანება.
მას შემდეგ, რაც ტექსტი გამთლიანდება და მოსწავლეები ერთმანეთს გაუზიარებენ წაკითხულ ინფორმაციას, გაიაზრებენ საკვანძო ცნებებს შესასწავლი თემის ირგვლივ, დაბრუნდებიან საწყის ჯგუფებში, განიხილავენ მასწავლებლის მიერ წინასწარმომზადებულ მეორე დავალებას: ე.წ. ქეისს/სიტუაციურ ამოცანას.
შემდეგ იმევე პრინციპით გადანაწილდებიან ახალ ჯგუფებში, ე.წ. ექსპერტთა ჯგუფში (იხილეთ მე-4 ფაზა) და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს სიტუაციური ამოცანის პირობაში მოცემული პრობლემის გადასაჭრელად.

„მოზაიკის“ 1-ელი ფაზა:



მე-2 ფაზა

მე-3 ფაზა



მე-4 ფაზა ე.წ. ექსპერტები

ბარათები გუნდური მუშაობისთვის:

ბარათი N1.

დაზღვევა ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია მოსალოდნელი რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.

სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი პრონციპი ასეთია: **მზღვეველი** ანუ სადაზღვევო ორგანიზაცია აზღვევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს იმ რისკებისგან, რომელთა წინაშეც ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ და მათ გადასცემს **სადაზღვევო პოლისსა** და ხელშეკრულებას, რომელშიც გაწერილია დაზღვევის პირობები.

დაზღვევის მისაღებად დამზღვევი პირები სადაზღვევო ორგანიზაციას წინასწარ შეთანხმებული პერიოდულობით უხდიან **სადაზღვევო პრემიას** ანუ ფულად შენატანს.

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, წინასწარ განსაზღვრული რისკების ალბათობის შემთხვევაში, სადაზღვევო ორგანიზაცია დაზღვეულ პირებს ხელშეკრულების პირობებისა და სადაზღვევო ლიმიტის შესაბამისად უნაზღაურებს ზიანს. სადაზღვევო ლიმიტი განისაზღვრება წინასწარ და ეთითება სადაზღვევო პოლისში.

სადაზღვევო პოლისი შეიძლება ითვალისწინებდეს **ფრანშიზას**. ფრანშიზა შეიძლება იყოს პირობითი ან უპირობო. შესაძლებელია პოლისი ითვალისწინებდეს ნულოვან ფრანშიზასაც.

თავის მხრივ, ფრანშიზა წარმოადგენს ზიანის იმ მინიმალურ ოდენობას, რომელსაც მზღვეველი არ აგინაზღაურებთ.

ტერმინთა განმარტება:
დაზღვევა -ურთიერთობა, რომელიც მყარდება მომხმარებლის პირადი ან ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.
სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელსაც იხდის ან უნდა გადაიხადოს დამზღვევმა დაზღვევაში.
დამზღვევი - პირი, რომელმაც შეიძინა დაზღვევა.
მზღვეველი - სადაზღვევო ორგანიზაცია.
სადაზღვევო პოლისი - მზღვეველის მიერ გაცემული ხელმოწერილი საბუთი - მოწმობა დაზღვევის ხელშეკრულების დადების შესახებ.
სადაზღვევო შემთხვევა - მოვლენა, რისთვისაც ხდება დაზღვევა და რომლის დადგომისას მზღვეველი დაზღვეულს აუნაზღაურებს დამდგარ ზიანს.
სადაზღვევო ლიმიტი - სადაზღვევო თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომელსაც გადაიხდის სადაზღვევო კომპანია ზარალის დადგომისას.
ფრანშიზა - თანხის ის ოდენობა, რომელსაც მზღვეველი არ ანაზღაურებს.
უპირობო ფრანშიზა - თანხა, რომელიც აკლდება ასანაზღაურებელ ოდენობას თითოეული სადაზღვევო შემთხვევის დროს. მზღვეველი არ გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას თუ ზიანი გრანშიზის ოდენობაზე ნაკლებია.
პირობითი ფრანშიზა - თანხა, რომლის ფარგლებშიც დამდგარი ზიანი თითოეული სადაზღვევო შემთხვევის დროს არ ანაზღაურდება. თუმცა, თუ ზიანმა გადააჭარბა პირობითი ფრანშიზის ოდენობას, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას სრულად.
შესასრულებელი სავარჯიშო: ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი თანდართული განმარტებებით, აირჩიეთ ერთი ტერმინი და ააგეთ **„სიტყვის პირამიდა“**



ბარათი N2.

დაზღვევა შეიძლება იყოს **ნებაყოფლობითი** ან **სავალდებულო.**

სავალდებულო დაზღვევისაგან განსხვავებით, რომელში ჩართულობის პირობებსაც კანონი განსაზღვრავს, ნებაყოფლობით დაზღვევაში ჩართულობა თავისუფალია და დამოკიდებულია დამზღვევი პირის სურვილზე.

დაზღვევის ხელშეკრულება მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე ფორმდება.

გამოყოფენ დაზღვევის **სამ** ძირითად მიმართულებას: **პირადი, ქონების** და **პასუხისმგებლობის** დაზღვევა.

პირადი დაზღვევის ძირითადი სახეებია: **ჯანმრთელობის, სამოგზაურო** და **სიცოცხლის** დაზღვევა.

ჯანმრთელობის დაზღვევა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების დროს, შესაძლებლობას იძლევა შევამციროთ ან სრულად ავირიდოთ სამედიცინო ხარჯები. ამასთან ჯანმრთელობის დაზღვევა გვეხმარება ჩვენმა ჯანმრთელობის მდგომარეობამ გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ჩვენი და ჩვენი ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობაზე.

ჯანმრთელობის დაზღვევა შეიძლება იყოს როგორც **კერძო**, ისე **სახელმწიფო.**

საქართველოში 2013 წლიდან მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანსაც მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

სამოგზაურო დაზღვევა ფარავს საზღვარგარეთ ან ქვეყნის შიგნით მოგზაურობისას დამდგარ რისკებთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორიცაა: სამედიცინო მომსახურეობასთან ან მოგზაურობის გაუქმებასთან, დაკარგულ ბარგთან და სხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ხარჯები. ამიტომაც, ამ სახის დაზღვევა ძალიან პრაქტიკული და პოპულარულია.

სიცოცხლის დაზღვევა ძირითადად დაზღვეული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი ოჯახის/მემკვიდრის მიერ ფულადი კომპენსაციის მიღებას უზრუნველყოფს.

სიცოცხლის დაზღვევა შესაძლებელია გარდაცვალების რისკს არც უკავშირდებოდეს და სადაზღვევო კომპენსაციის გაცემა კონკრეტული ასაკის მიღწევისას მოხდეს.

შესასრულებელი სავარჯიშო:

მოსწავლეები იღებენ სამუშაო ფურცელს. ერთ მხარეს წერენ საკვანძო ინფორმაციის მქონე სიტყვებს წაკითხული ტექსტიდან, მეორე მხარეს კი ამ სიტყვების გამოყენებით ადგენენ ე.წ. ქვიზს.

ბარათი N3.

ქონების დაზღვევა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავირიდოთ იმ რისკებიდან გამომდინარე ხარჯები, რომლებიც ჩვენს უძრავ ან მოძრავ ქონებას შეიძლება დაემუქროს.

ქონების დაზღვევის სახეობებია:

1. **სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა/აგროდაზღვევა.**

აგროდაზღვევა კარგი საშუალებაა სოფლის მეურნეობის მიმართულებით ისეთი რისკებისგან თავის დასაცავად, როგორიცაა:სტიქიური უბედურება (გვალვა, წყალდიდობა, სეტყვა, ხანძარი) ან მღრნელებისა და მწერების მიერ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანება.

2.**ტრანსპორტის დაზღვევა**, რომელიც მოიცავს სატრანსპორტო საშუალებების (ავტომობილები, მოტოციკლები, გემები, თვითმფრინავები) დაზღვევას და მინიმუმამდე დაჰყავს ავტოსაგზაო შემთხვევასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯები.

3. **სხვა ქონების დაზღვევა** - ამ დროს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი ან ბიზნესის ქონება (საცხოვრებელი ან საოფისე შენობა--ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, შინაური ცხოველები, ავეჯი, ძვირფასეულობა) სხვადასხვა რისკისგან, როგორიცაა: ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები.

გაითვალისწინეთ, დროთა განმავლობაში ქონების ცვეთისგან მიღებულ ზარალს დაზღვევა არ ანაზღაურებს.

საქართველოში 2018 წლიდან არსებობს **დეპოზიტების დაზღვევის** სისტემა, რაც გულისხმობს, რომ თითოეულ ბანკში ჩვენ მიერ განთავსებული თანხა 15,000 ლარამდე ავტომატურად დაზღვეულია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბანკის გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, ეს თანხა აუცილებლად აგინაზღაურდებათ. დეპოზიტების დაზღვევა მომხმარებლების დანაზოგების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

შესასრულებელი სავარჯიშო: T სქემა

რა ვიცოდი ტექსტის წაკითხვამდე	რა გავიგე ტექსტის წაკითხვის შემდეგ

ბარათი N4.

არსებობს **პასუხისმგებლობის დაზღვევა**, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საშუალებას აძლევს თავიდან აირიდონ ის ფინანსური ზარალი, რომელიც მათი საქმიანობის შედეგად მესამე პირის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის ან ქონებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთანაა დაკავშირებული.

მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობების დაზღვევა შეიძლება მოიცავდეს: პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას, რომელიც დაზღვეულ პირებს იცავს ისეთი შემთხვევებისგან, როდესაც ისინი, საკუთარი პროფესიული საქმიანობის დროს უნებლიეთ აყენებენ ზიანს მესამე პირებს. (ასეთი დაზღვევით ხშირად სარგებლობენ: ექიმები, არქიტექტორები, ნოტარიუსები...)

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დაზღვევას დასაქმებული პირის მიერ სამუშაო ადგილზე მიღებული დაზიანებისთვის. ასევე მესამე პირისადმი ავტოტრანსპორტის მფლობელთა პასუხისმგებლობის დაზღვევას, რომელიც დამზღვევს დაეხმარება იმ შემთხვევაში, თუ მისი ბრალეულობით ავტომობილის მართვის დროს დაზიანდება სხვისი ავტომობილი.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ერთ-ერთი ფორმაა **საშიშ საწარმოთა პასუხისმგებლობის დაზღვევა,** რაც ფარავს მაღალი რისკის მქონე (ბირთვული ან ქიმიური) საწარმოების მიერ მესამე პირებისა და გარემოსთვის მიყენებული ზარალის ხარჯებს.

გაითვალისწინეთ, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა სადაზღვევო ორგანიზაცია ყველა შემთხვევაში არ ანაზღაურებს ზარალს. სადზღვევო პირობებს გააჩნია ,,გამონაკლისები“, სადაც მითითებულია თუ რა შემთხვევაში არ აანაზღაურებს სადაზღვევო ორგანიზაცია ზიანს.

ანაზღაურება არ გაიცემა თუ ზარალი დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან ან წინასწარ განზრახვით ხდება სადაზღვევო ორგანიზაციის შეცდომაში შეყვანა. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სადაზღვევო ორგანიზაცია არ დაფარავს ზარალს თუ ავტომობილს მართავდა ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანი.

სწორედ ასეთი შეზღუდვები ზრდის დაზღვეული პირის პასუხისმგებლობას.

ზოგიერთ ადამიანს დაზღვევაში ფულის გადახდა უცნაურად ეჩვენება, რადგან განსხვავებით რაიმე ნივთის შეძენისგან ან თანხის სესხებისგან, დაზღვევის რეალურ სასარგებლო შედეგებს მაშინვე ვერ ვხედავთ. მაგრამ **გახსოვდეთ,** დაზღვევა დაგვეხმარება დავიცვათ საკუთარი თავი, ოჯახი, ბიზნესი, პროფესიული საქმიანობა, რათა მივაღწიოთ ფინანსურ სიმშვიდეს და სტაბილურობას.

შესასრულებელ სავარჯიშო: ,,ამოტრიალებული პირამიდა“



აქტივობა N2. ინტერაქტიური სავარჯიშო (10 წთ.)

მასწავლებელი მოსწავლეებს წინა აქტივობით შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოსავლენად შესთავაზებს LearningApps.org პროგრამაში შექმნილ ინტერაქტიურ სავარჯიშოს მოცემული ბმულით https://learningapps.org/display?v=pmxeb00uk23

მოსწავლეები გახსნიან მითითებულ ბმულს, შეასრულებენ და თავად დაადგენენ, თუ რა ცოდნას ფლობენ მოცემული თემის შესახებ.

ე.წ. ,,კროსვორდის" ფორმა ითვალისწინებს თამაშის შეუზღუდავ გამეორებას და მითითებული სწორი პასუხებით მოსწავლეები მარტივად შეძლებენ შესასწავლი ინფორმაციის დამახსოვრებას.

აქტივობა N3. სიტუაციური ამოცანა/ქეისი (15 -20 წთ.)

18 წლის ალექსიმ საოცნებო მოტოციკლი Yamaha 2022 იყიდა 11,850.00 აშშ დოლარად.

მან გადაწყვიტა პირველი თავისი უახლოესი მეგობარი - თიკო გაესეირნებინა, რადგან ორივეს ექსტრემალური სპორტი და რბოლა ძალიან მოსწონდათ.

18 ოქტომბერს, 20:00 საათზე თიკომ და ალექსიმ სოლოლაკიდან ვაკის პარკამდე გაისეირნეს ახალი მოტოციკლით. ალექსი პირველად მართავდა საკუთარ მოტოციკლს, მაგრამ მართვის

პრაქტიკა გავლილი ჰქონდა, მეგობრების მოპედებითაც ხშირად უსარგებლია და ქალაქის ქუჩებსაც კარგად იცნობდა. ამის მიუხედავად, გზად მაინც შეიქმნა რამდენიმე საავარიო სიტუაცია სხვა არაკეთილსინდისიერი მძღოლების გამო. საბედნიეროდ, თიკო და ალექსი მშვიდობიანად დაბრუნდნენ სახლებში, მაგრამ თიკომ მეგობარს მაინც ურჩია დაფიქრებულიყო ახლადშეძენილი ტრანსპორტის დაზღვევაზე.

თიკო, ალექსისგან განსხვავებით, სადაზღვევო საკითხებში უფრო გარკვეული იყო, რადგან მისი მშობლები ჯანმრთელობის დაზღვევასთან ერთად, სარგებლობდნენ სამოგზაურო, სიცოცხლის და აგროდაზღვევით. თიკოს ოჯახი ასე ცდილობდა მოსალოდნელი რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილებას. ალექსის მშობლებს კი დაზღვევაში გადახდილი თანხა უაზრობად მიაჩნდათ და მხოლოდ სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევით სარგებლობდნენ.

ალექსიმ გაითვალისწინა თიკოს რჩევა, გადაწყვიტა მეტი სიფრთხილისთვის მიემართა და დაეზღვია არა მარტო ახალი მოტოციკლი, არამედ საკუთარი ჯანმრთელობაც.

მოტოციკლის მზღვეველად მან კომპანია ,,გრინ დაზღვევა საქართველო" შეარჩია. პირობების გამოსაკვლევად ეწვია ბმულს. შემდეგ კი დამატებით კითხვებზე პასუხის მისაღებად დაუკავშირდა კომპანიის წარმომადგენელს.

ცხელი ხაზი: +995 32 224 44 54; ელ-ფოსტა: info@greenig.ge

სადაზღვევო ხელშეკრულება გაფორმდა ბმულზე მითითებული პირობებით 2023 წლის 20 ოქტომბერს.

ჯანმრთელობის დაზღვევა კი, მისთვის მისაღები პირობების გამო, სადაზღვევო კომპანია ,,არდს" მიანდო.

იმავე დღეს ალექსი ახალი მოტოციკლით მეგობრის დაბადების დღეზე წავიდა. მონიშნულ საპარკინგე ზონაში გააჩერა თავისი სატრანსპორტო საშუალება და 18:30 საათზე მშვიდად შევიდა წვეულებაზე.

წვეულებიდან გამოსულს, დაახლოებით 22:45 საათზე, მოტოციკლი საპარკინგე ადგილას აღარ დახვდა. მან მაშინვე გამოიძახა საპატრულო პოლიცია და განაცხადა მოტოციკლის სავარაუდო ძარცვის შესახებ.

აქტივობა N4: კითხვა პასუხი (10 წთ.)

1) დაასახელეთ, რამდენი ტიპის სადაზღვევო პროდუქტია ნახსენები ტექსტში და რომლები?
2) იმსჯელეთ, რა ტიპის სადაზღვევო პროდუქტებით სარგებლობთ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრები
3) რომელი სადაზღვევო კომპანიები იცით და როგორ უნდა განვასხვავოთ/უპირატესობა მივანიჭოთ რომელიმეს? (პირობები, ფასები, მომსახურების ხარისხი)
4) დღეს 5 დეკემბერია, მოტოციკლი ისევ არ ჩანს. რისი გაკეთება შეუძლია ალექსის? (სავარაუდო პასუხი: მას უნდა მიემართა სადაზღვევო კომპანიისთვის და 45 დღის

მერე თუ ვერ იპოვიდნენ მის ტრანსპორტს, ზარალს, ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, აუნაზღაურებდა სადაზღვევო კომპანია.)

აქტივობა N 4. საშინაო დავალება (შესრულების სავარაუდო დრო: ერთი კვირა)

ვარიანტი 1. შექმენით **პოსტერი** თემაზე: ,,მოტოდაზღვევა“

რეკომენდაციები პოსტერის შექმნისთვის:

1. მოიფიქრე ეფექტური სათაური;
2. სათაურის ქვეშ მიუთითე ავტორის (შენი) სახელი და გვარი;
3. განათავსე დიდი ზომის ფოტოები და მოკლე ტექსტები შესაბამისი შრიფტის ზომით;
4. მნიშვნელოვანია ქაოსურად არ განათავსო ფოტოები და წარწერების ამოკითხვა იყოს შესაძლებელი

(პ.ს. პოსტერის ნიმუში იხილეთ თანდართული ფაილით.)

ვარიანტი 2. შექმენით თემატური **ლეპბუკი**-Lapbook (ჯიბეებიანი წიგნი)

ინსტრუქცია:

ნაბიჯი 1. მოიფიქრე ე.წ. ჯიბეებიანი წიგნის/საქაღალდის დიზაინი;

ნაბიჯი 2. განსაზღვრავე, რა რაოდენობის ,,ჯიბეები“ სჭირდება წიგნს ანუ შესასწავლი თემიდან რამდენ საკითხს განიხილავ;

ნაბიჯი 3. ლეპბუკის ,,ჯიბეებს“დაარქვი სახელები;

ნაბიჯი 4. მოიძიე ინფორმაცია და ვიზუალური მასალა (კარგი იქნება ასეთი მასალა თავადაც შექმნა);

ნაბჯი 5. დაახარისხე თემატურად ,,ჯიბეების“ სათაურების მიხედვით (წინასწარ დაგეგმე რომელ ინფორმაციას რა ფორმით მოათავსებ ლეპბუკში).

ეს აქტივობა სასურველია ჩატარდეს ჯგუფებში. თითოეულმა გუნდმა წარმოადგინოს საკუთარი ,,ჯიბეებიანი წიგნი“ ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ინერაქტიურ-თემატური საქაღალდე.

სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებით/მშობლებით და რომელიმე სადაზღვევო კომპანიიდან მოწვეული წარმომადგენლით დაკოპლექტებულმა კომპეტენტურმა ჟიურიმ კი გამოავლინოს ყველაზე კრეატიული ლეპბუკი/პოსტერი, რომელიც მოიცავს სისტემატიზირებულ და მრავალფეროვან ინფორმაციას დაზღვევის შესახებ.

ე.წ. ლეპბუკის ნიმუშები

მოცემულ გაკვეთილზე შეფასდება **პრეზენტაციისა** და **კითხვა-პასუხის** უნარები.

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა

	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
წარადგენს პრეზენტაციის თემას, აკეთებს შესავალს			
წარდგენისას თანმიმდევრულად განიხილავს მთავარ საკითხებს			
ხსნის მოვლენებს, მოჰყავს ფაქტები და არგუმენტები			
აკეთებს მართებულ დასკვნებს, პასუხობს დასმულ შეკითხვებს			
საუბრობს მკაფიოდ, იყენებს შესაბამის ტერმინოლოგიას, თვალსაჩინოებას.			
ფლობს აუდიტორიას (იყენებს მიმიკას, ჟესტიკულაციას, ინტონაციას)			
იცავს დროის ლიმიტს			

კითხვა-პასუხის შეფასების რუბრიკა

	იშვიათად	ხშირად	ყოველთვის
შეუძლია: დასმულ კითხვებზე ადეკვატური პასუხის გაცემა.			
საკითხის მკაფიოდ და გასაგებად წარმოდგენა.			
პასუხის დასაბუთება/მაგალითის მოყვანა			
შედარება სხვა ნაწილთან, მოვლენასთან, ფაქტთან.			
კავშირის დამყარება რეალობასთან და შეფასება.			

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფინანსური განათლების პორტალი - https://finedu.gov.ge/ge
2. სახელმძღვანელო: ,,ფინანსური განათლება ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, სკოლა-ბანკი“
3. დამხმარე მასალა მე-7 კლასის სამოქალაქო განათლების პედაგოგებისთვის - ფინანსურ-ეკონომიკური ნაწილი https://finedu.gov.ge/ge/publikatsiebi-1/finansuri-da-ekonomikuri-tsigniereba-skolebshi-damkhmare-sastsavlo-masala-samokalako-ganatlebis-pedagogebistvis-1
4. საგანი მოქალაქეობა - გზამკვლევი https://mes.gov.ge/uploads/files/gzamkvlevi/%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90.pdf

საკონკურსო ნაშრომის ავტორია - ნესტან კუბლაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის N172 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

თბილისი

2023 წელი